დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 12

ქ. დმანისი 17 ოქტომბერი 2022 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4 .აზერ ალიევი
5. ილია სარსევანიძე
6. სოფიო ასლამაზაშვილი
7. ლერი ბერუაშვილი
8. მურაზი აბრამიშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. მაკა ოკმელაშვილი
11. შალვა ღამბარაშვილი
12. შოთა აკობაშვილი
13. შახინ კოიალოვი
14. სტამბულ ისაევი
15. გამლეტ ისმაილოვი
16. ემილ იბრაგიმოვი
17. მერაბი ფოლადაშვილი
18. ნატიგ ოვჩიევი
19. გუმბათ იუსუბოვი
20. გუსეინ ისმაილოვი
21. ლეილა მიქიანი
22 კახა ოქრიაშვილი
23 შახინ გასანოვი
24 მაია ციხელაშვილი
25 გურანდა ქოჩორაძე
26 მიხეილ დაუთაშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : აპარატის უფროსი თინათინ ციხელაშვილი.
სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 12. 30

დღის წესრიგი

1	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“.
მომხსენებელი:	**მ. ოკმელაშვილი**

2	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების წესების დამტკიცების შესახებ“
მომხსენებელი:	**მ.აბრამიშვილი**

3	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის №გ-109-109220252 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**მ.აბრამიშვილი**

4.	**განკარგულება:** ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის №გ-109.109221056 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**მ. აბრამიშვილი**

5.	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ '' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 თებერვლის №გ-109.109220551 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**ლ.ბერუაშვილი**

6.	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,,ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა''-სათვის გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
მომხსენებელი:	**ლ. ბერუაშვილი**

7.	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) აუქციონის ფორმით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ
მომხსენებელი:	**ლ.ბერუაშვილი**

1.მომხსენებელი : პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“.
აღნიშნული პროგრამის მიზანს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსით“ გათვალისწინებული წესის განხორციელება,რომელიც ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფას.წესი განსაზღვრავს რეგისტრაციის კრიტერიუმებს პროცედურებსა და საცხოვრებლით დაკმაყოფილების პირობებს.ამ წესის განხორციელების მიზნით,დმანისის მუნიციპალიტეტის მერი ქმნის დმანისის

მუნიციპალიტეტის მერიის უსახლკარო პირთა რეგისტრაციის და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის კომისიას.
დროებითი საცხოვრისის უზრუნველყოფისათვის უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა რიგითობა განისაზღვრება კომისიის მიერ მინიჭებული შეფასების საფუძველზე.მინიჭებული ქულა ძალაშია შეფასების განხორციელებიდან ორი წლის განმავლობაში.
საცხოვრისით სარგებლობის მინიმალური ვადა განისაზღვრება ორი წლით,ხოლო შემდგომი ვადა დამოკიდებულია მონიტორინგის შედეგებზე,ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისა და პირობების შესრულებასა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განახლებული მონაცემების გათვალისწინებით.
აზრი გამოთქვეს: ლეილა მიქიანმა, კახა ოქრიაშვილმა.
დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.
მომხრე: 26
წინაღმდეგი:

2. **მომხსენებელი : მურაზი აბრამიშვილმა** საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების წესების დამტკიცების შესახებ“

1. **დადგენილების მიღების მიზეზი:**

   ა) საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი.

2. **დადგენილების მიღების მიზანი:**

   დადგენილების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების საფუძველზე, ქ. დმანისში, 9 აპრილის ჩიხზე გადატვირთული საავტომობილო მოძრაობის მოწესრიგება;

3. **დადგენილების ძირითადი არსი:**

   ა) დადგენილების დანართ N1-ის პირველი მუხლით, ქ. დმანისში წესდება ცალმხრივი მოძრაობის რეჟიმი 9 აპრილის ჩიხზე, ბაზრის ტერიტორიიდან ფოსტის მიმართულებით, წმინდა ნინოს ქუჩის კვეთამდე;

   ბ) დადგენილების დანართ N1-ის მე-2 მუხლით, ავტოსატრანსპორტო საშუალებებს აეკრძალებათ წმინდა ნინოს ქუჩიდან 9 აპრილის ჩიხის მიმართულებით მოხვევა;

4. **დადგენილების ანალიზი:**

„დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების წესების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, დამტკიცების შემთხვევაში, გამოიწვევს:

   ა) ქ. დმანისში, 9 აპრილის ჩიხზე, ბაზრის ტერიტორიიდან ფოსტის მიმართულებით, წმინდა ნინოს ქუჩის კვეთამდე, ცალმხრივი მოძრაობის რეჟიმის დაწესებას, რაც თავისთავად განტვირთავს მოცემულ უბანს და მოწესრიგდება საგზაო მოძრაობა, რაც შეამცირებს სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად, ქვეითად მოსიარულეების დაზიანების რისკს;

   ბ) მინიმუმამდე შემცირდება ქ. დმანისში, 9 აპრილის ჩიხზე, გადატვირთული მოძრაობის გამო საცობის წარმოქმნის რისკი;

   გ) დადგენილება არ აისახება დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის როგორც ხარჯვით, ასევე შემოსავლების ნაწილზე.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი .
მომხრე: 26
წინაღმდეგი:

3. **მომხსენებელი : მურაზი აბრამიშვილმა** საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი

პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე"დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის №გ-109-109220252 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში შესატანია შემდეგი ცვლილება:

1. ტენდერებისა და სამუშაოების დასრულების შემდგომ დაჩენილი ეკონომიები შეადგენს 163442 ლარს

N	პროექტის დასახელება	კატეგორია	პროექტის ღირებულება	შენიშვნა	ტენდერისა და სამუშაოების დასრულებლის შედეგად დაფიქსირებული თანხა	გასანაწილებელი ეკონომია
3	სოფ.გუგუთის გარე განათების მოწყობა	შენობა ნაგებობები	85769		64580	21189
6	ქ. დმანისში წმ. ნინოს ქუჩა N58-ში მდებარე სარეპეტეციო დარბაზის რეაბილიტაცია	შენობა ნაგებობები	86259		73960	12299
9	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ საფარლოში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	კეთილმოწყობა	146673		135978	10695
14	2022 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსება	სხვა	600000		503251	96749
16	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში ადმინისტრაციულ ერთეულებში და რიტუალების სახლის გაზიფიცირების სამუშაოები	შენობა ნაგებობები	40000		34011	5989
27	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ საკირეში შიდა გზის რეაბილიტაცია	გზები	94000		87079	6921
10	სოფელ ირგანჩაის სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობ	კეთილმოწყობა	177788		168188	9600

2.დმანისის მუნიციპალიტეტის მერიამ 2022 წელს დმანისის მუნიციპალიტეტში 2019-2020-2021 წლის პროექტების დასრულებიდან შეწყვიტა 4 ხელშეკრულება შემსრულებლის მიერ არაკეთილსინდიერი საქმიანობის გამო, რის შემდგომაც ხელშეკრულების ღირებულებასა და შესრულებულ სამუშაოებს შორის დარჩენილ სხვაობამ შეადგინა 195440 ლარმა

შენიშვნა: აღნიშნული სამუშაოების გაგრძელება მიმდინარე წელს არ ნხორციელდება.

N	პროექტის დასახელება	კატეგორია	შენიშვნა	სამუშაოების შეწყვეტის შემდეგ დარჩენილი ნაშთი
3	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისძირში წყლის სათავე ნაგებობის, შემკრების/რეზერვუარისა და მაგისტრალური ხაზის მოწყობის სამუშაოების შესყიდვა	წყლები		63699

4	1. დმანისის მუნიციპალიტეტის, სოფელ მთისძირში, საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოს რეაბილიტაცია; 2. სოფელ დაგარახლოში ცენტრალურ გზაზე, მოსაცდელის მოწყობა; 3. სოფელ განახლებაში, ცენტრალურ გზაზე, მოსაცდელის მოწყობა; 4. სოფელ განთიადში, სოფელ ჯავახის ჩასახვევში, ცენტრალურ გზაზე მოსაცდელის მოწყობა; 5. სოფელ განთიადში, საბავშვო ბაღთან, ცენტრალურ გზაზე მოსაცდელის მოწყობა; 6. სოფელ ველისპირში, ცენტრალურ გზაზე, მოსაცდელის მოწყობა; 7. სოფელ ვარდისუბანში, ცენტრალურ გზაზე, მოსაცდელის მოწყობა; 8. სოფელ მამულოში ცენტრალურ გზაზე მოსცდელის მოწყობა; 9. სოფელ სარკინეთში, ცენტრალურ გზაზე, მოსაცდელის მოწყობა; 10. ქ. დმანისში, ბატონიშვილის და აღმაშენებლის კვეთაზე, ცენტრალურ გზაზე მოსაცდელის მოწყობა; 11. სოფელ ქციის ცენტრში სკვერის მოწყობა.	შენობა ნაგებობა		33764
12	დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ოროზმანში სპორტული დარბაზის რეაბილიტაციისა და გარე სანიტარული კვანძის მომწყობის სამუშაოები.	შენობა ნაგებობები		27111
13	1. დმანისის მუნიციპალიტეტში, სოფელ მამულოს სარიტუალო დარბაზის ეზოში დამხმარე ნაგებობისა და საპირფარეშოს მოწყობა 2. სოფ აზკაკლიანში სარიტუალო დარბაზთან საპირფარეშოს მოწყობის. 3. დმანისის მუნიციპალიტეტში შიდა სახელმწიფო გზასთან უსახური შენობების რეაბილიტაციის სამუშაოები. 4. ქ.დმანისში 9 აპრილის ჩიხი ქ.N4 -ში მდებარე ,,ააიპ დმანისის კომუნალური სამსახურის'' სპეც მანქანებისთვის ე.წ ფარდულის მოწყობის სამუშაოები. 5. გომარეთის ადმინისტრაციული შენობის ეზოს შემოღობვის სამუშაოები. 8. იფნარის ადმინისტრაციული შენობის ეზოს შემოღობვის სამუშაოები	შენობა ნაგებობები		70866

ზემოთ აღნიშნულმა თანხებმა ჯამში შეადგინა 358882 ლარმა და გადანაწილებული იქნა შემდეგ სამუშაოებზე

პუნქტი 28 „მერიის შენობაში საოფისე ფართების მოწყობა“ გაიზარდა 27158 ლარით

პუნქტი 30 „ქ. დმანისში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების, სამხედრო აღრიცხვის სამსახურის შენობის, საგანმანათლებლო ცენტრის და სოფ. განთიადში საბავშვო ბაღის თოვლისაგან და ქარისაგან დაზიანებული სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები“ გაიზარდა დამატებითი სამუშაოების გამო 786 ლარით.

დაემატა შემდგომი პუნქტები

პუნქტი 32 „წყაროდან წყლის მიწოდება ლოქჭანდარის საზღვარზე“ 60000 ლარის ღირებულების

პუნქტი 33 სტიქიის შედეგად დაზიანებული (დიდ თოვლობა) სოფ დაგარახლოში სარიტუალო სახლის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების თანადაფინანსება 4500 ლარის ღირებულების

პუნქტი 34 დიდი დმანისი-დმანისი-გომარეთი-ბედიანის შგზის 0 კილომეტრზე "მე მიყვარს დმანისი" -ს წარწერის მოწყობის სამუშაოები 55000 ლარის ღირებულების

დმანისის მუნიციპალიტეტში 2019-2020-2021 წლის პროექტების დასრულებისთვის პუნქტი 14 „რგფ პროექტების თანადაფინანსება 2685 მთავრობის განკარგულება“ გაიზარდა 211438 ლარი (სოფ გომარეთის საბავშო ბაღის სამუშაოების დასრულებისთვის.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 26

წინაღმდეგი:

4. მომხსენებელი : მურაზი აბრამიშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხის განაწილების შესახებ'' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის №გ-109.109221056 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი 2022 წლის პროექტების ნუსხაში პუნქტ 14 ში სოფ დიდმანისში და პუნქტ 60 ში სოფ ზემო კარაბულახში შეიცვალა სამუშაო სახეობა სოფლის მოთხოვნით, ასევე შეიცვალა ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ ადგილობრივი ბიუჯეტის თანდაფინასება.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 26

წინაღმდეგი:

5. მომხსენებელი : ლერი ბერუაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ '' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 თებერვლის №გ-109.109220551 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

შევიდეს ცვლილება ,,დმანისის მუნიციპალიტეტის ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ, '' დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 24 თებერვლის №გ-109.109220551 განკარგულების დანართი 1 –ში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.(დანართი)

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კახა ოქრიაშვილმა

მომხრე: 26

წინაღმდეგი:

6. მომხსენებელი : ლერი ბერუშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ქონების ააიპ ,,ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა''-სათვის გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს უსასყიდლოდ, თხოვების ფორმით, დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ააიპ ,,ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტულ სკოლას'' მისი არსებობის ვადით, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ერთი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება MERCEDES BENZ VITO სახელმწიფო სანომრე ნიშანი: TH925TH, სარეგისტრაციო მოწმობა: AJ3214642, საბალანსო ღირებულებით სულ ჯამში 32470 (ოცდათორმეტიათასოთხასსამოცდაათი) ლარი.

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კახა ოქრიაშვილმა

მომხრე: 25

წინაღმდეგი:

7. მომხსენებელი : ლერი ბერუაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების) აუქციონის ფორმით გაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, გასცეს აუქციონის ფორმით, თანდართული დანართით წარმოდგენილი, დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები. (დანართი)

აზრი გამოთქვეს: კახა ოქრიაშვილმა

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 26

წინააღმდეგი:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწები (სათიბი, საძოვარი)

დანართი N1

N	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის დანიშნულება (სათიბი)	მიწის დაზუსტ ფართობი/კვ.მ /	საიჯარო ქირა წელიწადში (ლარი)
1	სოფ. ზემო კარაბულახი	82.17.41.184	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	332446	4987
2	საზაფხულო საძოვრები	82.17.42.123	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	19546	293
3	სოფ. მთისძირი	82.14.42.252	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	144387	2166
4	მუნიციპალიტეტი დმანისი , სოფელი სალამალეიქი	82.07.41.176	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	204874	3073
5	რაიონი დმანისი , ,,ზაფხულის საძოვრები,,	82.17.42.136	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	152963	2294
6	მუნიციპალიტეტი დმანისი , საზაფხულო საძოვრები	82.17.41.205	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	1096595	16449
7	მუნიციპალიტეტი დმანისი , საზაფხულო საძოვრები	82.14.42.411	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	251718	3776
8	მუნიციპალიტეტი დმანისი , საზაფხულო საძოვრები	82.17.41.209	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	549318	8240
9	მუნიციპალიტეტი დმანისი , სოფელი ზემო კარაბულახი	82.07.41.177	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	119659	1795
10	მუნიციპალიტეტი დმანისი , საზაფხულო საძოვრები	82.17.41.210	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	321518	4823
11	მუნიციპალიტეტი დმანისი , საზაფხულო საძოვრები	82.17.41.211	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	684734	10271
12	მუნიციპალიტეტი დმანისი, სოფელი სოგუთლო, საზაფხულო საძოვრები	82.07.47.877	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	643314	9650
13	მუნიციპალიტეტი დმანისი, სოფელი სოგუთლო, საზაფხულო საძოვრები	82.07.47.879	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	395462	5932
14	მუნიციპალიტეტი დმანისი , საზაფხულო საძოვრები	82.17.42.141	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	663006	9945
15	მუნიციპალიტეტი დმანისი , საზაფხულო საძოვრები	82.17.41.208	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	436120	6542
16	მუნიციპალიტეტი დმანისი , სოფელი კამარლო	82.09.41.290	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	30551	458
17	მუნიციპალიტეტი დმანისი, (საზაფხულო საძოვრები)	82.17.41.207	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	140260	2104
18	რაიონი დმანისი , საზაფხულო საძოვრები	82.17.42.137	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	423371	6351
19	მუნიციპალიტეტი დმანისი, საზაფხულო საძოვრები	82.06.42.167	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	391131	5867
20	მუნიციპალიტეტი დმანისი , საზაფხულო საძოვრები	82.17.41.212	სასოფლო-სამეურნეო (სათიბი)	251076	3766

დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების 2022 წლის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა (დანართი N1)

N	დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი (კვ.მ.)	შენობა-ნაგებობა კვ.მ	საბაზრო ღირებულება (ლარში)	
1	არასასოფლო-სამეურნეო	ქ. დმანისის გოგებაშილის ქუჩა N10	82.01.46.072	1800	575.68	40000	
2	არასასოფლო-სამეურნეო	ქ. დმანისის აღორძინების ქ. N5	82.01.46.108	1161	1021.34	30000	
3	არასასოფლო-სამეურნეო	ქ. დმანისი 9 აპრილის ქუჩა N34	82.01.46.062.01.500		368.74	100000	
4	სასოფლო-სამეურნეო	ქ. ქუჩა მერაბ კოსტავას	82.01.42.356	3556		71120	
5	არასასოფლო სამეურნეო	ქ. ქუჩა წმინდა ნინოს	82.01.42.456	600		24000	
6	სასოფლო-სამეურნეო	ქ. ქუჩა კ. გამსახურდიას	82.01.46.572	2599		51980	
7	სასოფლო-სამეურნეო	ქალაქი ვახტანგ მეფის ქუჩა	82.01.46.716	106		10000	
8	არასასოფლო სამეურნეო	რაიონი დმანისი	82.01.47.031	7431		74310	
9	სასოფლო-სამეურნეო	მუნიციპალიტეტი დმანისი	82.01.47.038	7943		79430	
10	არასასოფლო სამეურნეო	წმინდა ნინოს N12	82.01.46.045	616	485	49280	
11	არასასოფლო სამეურნეო	წმინდა ნინოს	82.01.42.457	4399		144190	
12	არასასოფლო სამეურნეო	გორგასლის N2	82.01.42.038	417	335	22694	
13	არასასოფლო სამეურნეო	9 აპრილის N15	82.01.46.032	369	369	180000	
14	არასასოფლო სამეურნეო	9 აპრილის ჩიხი N4	82.01.46.374	1938	160.46	170000	
15	არასასოფლო სამეურნეო	მთისძირი	82.14.42.269	32811		98433	
16	სასოფლო-სამეურნეო	გოდაგდაგი	82.07.46.297	1002		15330	
17	არასასოფლო სამეურნეო	გამსახურდია N5	82.01.46.046	1037	805	56310	
18	არასასოფლო-სამეურნეო	9 აპრილის ქუჩა N32	82.01.46.485	500	361.12	80000	
19	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისი ს. კიზილქილისა	82.11.41.008	222	92.2	9000	
20	არასასოფლო-სამეურნეო	ქ. დმანისი 9 აპრილის ქუჩა	82.01.46.582	149		8000	
21	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ. დმანისი	82.01.46.779	817		6536	
22	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისი ს. განთიადი	82.13.41.547	820	215	59490	
23	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ქ. დმანისი	82.01.46.696	803		6424	
24	არასასოფლო-სამეურნეო	ქ. დმანისი	82.01.46.690	113		10170	
25	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დმანისი ს. ვაკე	82.14.44.446	1253		3759	
26	არასასოფლო-სამეურნეო	ქ. დმანისი	82.01.45.533	359		14360	
27	არასასოფლო-სამეურნეო	დმანისი ს. ახა	82.07.42.355	4682		18728	
28	ჯართი	დმანისი ს. გომარეთი		15 (ტონა)		15000	
29	სასოფლო-სამეურნეო	დმანისი ს. ირგანჩაი	82.03.41.283	1142		3426	
30	სასოფლო-სამეურნეო	დმანისი ს. მთისძირი	82.14.44.326	3237		9711	
31	არასასოფლო-სამეურნეო	მუნიციპალიტეტი დამნისი, 9 აპრილის ჩიხი, №27-ის მ/ტ	82.01.46.680	188		17000	
32	სასოფლო-სამეურნეო	დმანისის მუნიციპალიტეტი	82.01.41.388	1815		7260	

	დასახელება	**სახელმწიფო N**	**გამოშვების წელი**	**საიდენტიფიკაციო N**	**ფერი**	**მდგომარეობა**	**საბაზრო ღირებულება (ლარში)**
33	FORD RANGER. პიკაპი	DD-506-VD	2010	AM8508338	თეთრი	გამართული	15700
34	KIA SPORTAGE. მაღალი გამავლობის	DD-502-VD	2008	AM8500235	შავი	გამართული	9100
35	JUMZ ექსკავატორი	WW135N	1987	AJ2911389		გამართული	4,960
36	MTZ თვლიანი ტრაქტორი	WW136N	0	AJ2917572		გაუმართავი	6,300